ტრიუმფალური თაღი

დააკვირდი სურათს. მასზე გამოსახულია ულამაზესი თაღი. შენი აზრით, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს მას? წაიკითხე ტექსტი და გაიგე ბევრი საინტერესო რამ ამ თაღის შესახებ.

მსოფლიოში ბევრი ლამაზი ნაგებობაა. მათი აგება ხშირად ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება. სწორედ ასეა პარიზის ტრიუმფალური თაღის შემთხვევაშიც. იგი ნაპოლეონის ბრძანებით ააგეს აუსტერლიცის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ. თაღის სრული სახელია „ვარსკვლავის მოედნის ტრიუმფალური თაღი“.

ტრიუმფალური თაღი შარლ დე გოლის მოედნის შუაგულში დგას. აქედან, არც მეტი არც ნაკლები, პარიზის 16 **პროსპექტი** გამოდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თაღი პარიზის ცენტრის ყველა წერტილიდან ჩანს. იგი ეიფელის კოშკის მსგავსად ქმნის ულამაზეს ქალაქურ **პეიზაჟს**.

პარიზის ტრიუმფალური თაღი მსოფლიოში სიდიდით მეორეა ასეთ თაღებს შორის. მისი სიმაღლე 50 მ-ია, სიგანე – 45 მ, ხოლო სისქე – 22 მ. ის იმდენად დიდია, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების აღსანიშნავად თაღის ქვეშ ბიპლანითაც გაუფრენიათ. ალბათ, იცი, ბიპლანი თვითმფრინავია, რომელსაც ორი წყვილი ფრთა აქვს.

თაღი ფრანგმა არქიტექტორმა ჟან შალგრენმა **დააპროექტა**. თუმცა თვითონ ავტორი საკუთარი ქმნილების გახსნას ვერ მოესწრო. მისი გარდაცვალების შემდეგ თაღზე კიდევ რამდენიმე არქიტექტორმა იმუშავა. მათი ერთობლივი შრომით შეიქმნა ეს დიდებული ძეგლი. მის აგებას 30 წელზე მეტი დასჭირდა.

პარიზის ტრიუმფალურ თაღზე ულამაზესი **ჩუქურთმებია** ამოკვეთილი. მას დახვეწილი ფრიზიც ანუ სახურავთან ახლოს კედლის ვიწრო ზოლი ამშვენებს. თაღზე ასევე გამოსახულია საფრანგეთის ომების სცენები. მათი უმეტესი ნაწილი ნაპოლეონის ბრძოლებს ასახავს. თაღის შიგა კედლებზე ფრანგი გენერლების სახელებია ამოკვეთილი. ომში დაღუპულთა გვარები სხვებისგან ხაზგასმით არის გამოყოფილი. სვეტებზე კი ჩამოთვლილია ნაპოლეონის მიერ მოგებული ომები.

თაღის ქვეშ არის **აკლდამები** და უცნობი ჯარისკაცის საფლავი. საფლავზე **მარადიული** ცეცხლი ანთია, რათა ხალხს არ დაავიწყდეს პირველ და მეორე მსოფლიო ომებში დაღუპული ჯარისკაცები.

ტრიუმფალური თაღი უკვე ორი საუკუნეა ამშვენებს პარიზს. მას ფრანგული არმიის არაერთი **აღლუმი** უნახავს. თაღი დღეს უამრავ **ტურისტს** მასპინძლობს და მათ საფრანგეთის წარსული დიდების შესახებ უამბობს.

ტექსტი მომზადებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიო საოცრებების“ მიხედვით.

რა გაიგე საინტერესო ტრიუმფალური თაღის შესახებ?

კომპონენტი: მთავარი იდეა და დეტალები, **დონე:** 4.2

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველი აბზაცის ძირითად აზრს გადმოსცემს წინადადება:

ა) თაღის აგება აუსტერლიცის ბრძოლაში ნაპოლეონის გამარჯვებას უკავშირდება.

ბ) თაღის სრული სახელია „ვარსკვლავის მოედნის ტრიუმფალური თაღი“.

გ) მსოფლიოში ბევრი ლამაზი ნაგებობაა, მათ შორისაა ტრიუმფალური თაღი.

2 რომელი წინადადება გვაძლევს ინფორმაციას ტრიუმფალური თაღის მდებარეობის შესახებ:

ა) ტრიუმფალური თაღი ეიფელის მსგავსად ულამაზეს პეიზაჟს ქმნის.

ბ) ტრიუმფალური თაღის ქვეშ არის უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

გ) ტრიუმფალური თაღი შარლ დე გოლის მოედნის შუაგულში დგას.

3 ტექსტის მიხედვით, ტრიუმფალური თაღის კედლებზე გამოსახულია:

ა) საფრანგეთის ცნობილი ომების სცენები.

ბ) ცნობილი ფრანგი არქიტექტორების პორტრეტები.

გ) ცნობილი ფრანგი გენერლების პორტრეტები.

4 რის შესახებ <u>*არ არის*</u> საუბარი ტექსტში?

ა) რა დანიშნულება აქვს თაღს დღეს.

ბ) რამდენი წელი დასჭირდა თაღის აგებას.

გ) რომელ წელს დაიწყეს თაღის აგება.

5 მოცემული ტექსტის მთავარი მიზანია გაგვაცნოს:

ა) ტრიუმფალური თაღის ადგილმდებარეობა.

ბ) ტრიუმფალური თაღის ზომები.

გ) ტრიუმფალური თაღის ისტორია.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. თაღი ფრანგმა არქიტექტორმა ჟან შალგრენმა **დააპროექტა**.

   ა) ააგო. ბ) გახსნა. გ) დაგეგმა.

2. თაღზე ჩუქურთმაა **ამოკვეთილი**.

   ა) ამოჭრილი. ბ) დახაზული. გ) დახატული.

3. უცნობი ჯარისკაცის საფლავზე **მარადიული** ცეცხლი ანთია.

   ა) დიდი. ბ) მუდმივი. გ) ძლიერი.

2 ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. აღლუმი	ქალაქის სწორი და განიერი ქუჩა (გამზირი).
2. აკლდამა	ბუნების ან რაიმე ადგილის ხედი.
3. პროსპექტი	ქვისაგან გაკეთებული სამარხი ნაგებობა.
4. პეიზაჟი	ხეზე ან ქვაზე ამოკვეთილი მხატვრული ორნამენტი.
5. ჩუქურთმა	ჯარის საზეიმო მწყობრი მსვლელობა.

3 ხაზებით დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

1. ხშირად	განსხვავებული
2. მსგავსი	ვიწრო
3. ფართო	იშვიათად

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. პარიზის ცენტრის ყველა ---------- ჩანს. *(წერტილისაგან / წერტილიდან)*

2. თაღზე რამდენიმე არქიტექტორმა ----------. *(იმუშავა / იმუშავეს)*

3. ჯარისკაცის საფლავზე სულ ცეცხლი ანთია, ---------- არავის დაავიწყდეს გმირები. *(რათა / რადგან)*

გრამატიკა

2 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.

1. თაღი (*მოედანი*) ---------- შუაგულში დგას.

2. აქ ფრანგული (*არმია*) ---------- არაერთი აღლუმი ჩატარებულა.

3 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: დიდი (როგორი?) — სიდიდე (რა?)

1. ლამაზი – ----------. 2. ვიწრო – ----------.

4 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	☒ *ძეგლი შეიქნა.*	☐ *ძეგლი შეიქმნა.*
1.	☐ იმდენათ.	☐ იმდენად.
2.	☐ უამრავი ტურისტი.	☐ უამრავი ტურისტები.
3.	☐ დაჭირდა.	☐ დასჭირდა.

წერა

1 ტექსტიდან მოკლედ ამოწერე დეტალები ტრიუმფალური თაღის შესახებ.

სად მდებარეობს?	
როდის აშენდა?	
ვისი ბრძანებით აშენდა?	
ვინ დააპროექტა?	
როგორია თაღის ზომები?	
რით არის თაღი შემკული?	

2 წარმოიდგინე, რომ იყავი პარიზში და მოინახულე ტრიუმფალური თაღი. მისწერე მეგობარს წერილი შენი შთაბეჭდილებების შესახებ (რა მოგეწონა და რატომ). ნამუშევარი გააფორმე ნახატით.